მაია კერვალიშვილი

ასოციაცია ქართული ფსიქოანალიტიკური სივრცე

ფროიდი ქართულ ლიტერატურაში - მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „კურდღელი“

შესავალი

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა “კურდღელი” 1927 წელს გამოქვეყნდა. თავად ავტორი მიუთითებს წინათქმაში, რომ ეს ისტორია უამბო ცნობილმა ფსიქიატრმა მიხეილ ასათიანმა. მიხეილ ასათიანს ვიცნობთ, როგორც მეცნიერული ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელს საქართველოში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ 1930 წელს ფსიქოანალიზი საბჭოთა კავშირში ოფიციალურად აიკრძალა, ცოტამ თუ იცის რომ, მიხეილ ასათიანი, თავისი ფსიქოთერაპიული პრაქტიკის დროს ფსიქოანალიზს ეყრდნობოდა. 1909 წელს შვეიცარიაში მოღვაწეობისას, იგივე კლინიკაში მუშაობდა სადაც კარლ გუსტავ იუნგი, იცნობდა ბლეილერს და მეგობრობდა საბინა შპილრეინთან. შვეიცარიიდან დაბრუნებული მიხეილ ასათიანი პაციენტების სამკურნალოდ აქტიურად იყენებდა ფსიქოანალიტიკურ მეთოდს და ის ერთ-ერთი იყო ვინც, საბჭოთა ფსიქიატრთა წრეებში, აღვივებდა ფსიქოანალიზისადმი ინტერესს. კერძოდ, 1910-1914 წლებში მოსკოვში გამოდიოდა ფსიქოანალიზზე ორიენტირებული ჟურნალი "ფსიქოთერაპია", რომლის ერთ-ერთი რედაქტორი მიხეილ ასათიანი გახლდათ.

სწორედ ამ პერიოდში, 1910 წელს, მოსკოვის ფსიქიატრების შეკრებაზე მან წაიკითხა მოხსენება, რომელიც ისტერიული ფსიქოზით დაავადებულის ფსიქოანალიტიკური მეთოდით მკურნალობას ეხებოდა. სავარაუდოდ, სწორედ ეს შემთხვევა დაედო საფუძვლად ამ მოთხრობას.

მოთხრობის შინაარსი

იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას მატრავმირებელ მოვლენაზე, დავიწყებ მოთხრობის მოკლე აღწერით, რომელიც საკმაოდ მძიმეა: მოთხრობის მთავარი გმირი სიდონია, ახალგაზრდა, საკმაოდ ისტერიული ქალია, რომელიც საყვარელი ვაჟის, 4 წლის ჯუანშერის, გარდაცვალების ფონზე ავითარებს ხანგრძლივ ფსიქოტურ ეპიზოდს. პაციენტს კი მკურნალობს, ოჯახის წევრების მიერ მოწვეული ცნობილი პროფესორი, ნევროლოგი ფრიდონ დორაშვილი, რომლის სახელშიც არ შეგვიძლია არ ამოვიკითხოთ ფროიდის ალუზია.

ამ აღწერაში, რაც მნიშვნელოვანია, ვაჟი დედის ფავორიტი იყო, ეს უნდა დავიმახსოვროთ. შვილის სიკვდილს ამძიმებს ის ფაქტი, რომ დედა თავს იდანაშაულებს მომხდარში, რადგან სიცხიანი ბავშვი ძიძას დაუტოვა აგარაკზე წაღვერში, თავად კი საყვარელთან ერთად წავიდა ბაკურიანში. სახლში დაბრუნება საკმაოდ შეაგვიანდა - წასვლიდან მესამე დღეს დაბრუნდა. ამასობაში კი, ბავშვს სასიკვდილო დაავადება დიფტერია განუვითარდა, შრატი დროულად ვერ გაუკეთეს (დედის ბავშვთან არყოფნის გამო დრო დაიკარგა) და დედას ხელებში ჩააკვდა.

ბავშვის გარდაცვალების მომენტში, სიდონიაც კარგავს გონებას. გონს რომ მოდის გვერდით ოთახში ხედავს კუბოს. პირველი რასაც აცნობიერებს არის ის, რომ მისი შვილი მკვდარია და მის გარდაცვალებაში თავად მიუძღვის ბრალი. ციტატა მოთხრობიდან:

> '- ჯუანი მოკვდა! - ელვასავით ჩაერჭო ტვინში სიდონიას. - მე მოვკალი...ჩემი ბრალია, მარტო ჩემი ბრალია. მაშასადამე...'

სწორედ ამ "მაშასადამეს" უტრიალებს პაციენტის გონება და ეძებს გამოსავალს.

აქ უკვე იწყება ჩვენთვის საინტერესო ანალიზი თუ რა ფსიქიკური გამოსავალი იპოვა სუბიექტმა და რა ფასის გადახდა უწევს მასში.

თეორიული ნაწილი

ანალიზისას, შევეხები ისეთ ფსიქოანალიტიკურ კონცეპტებს თუ საკითხებს, როგორიცაა:

1. შიდაფსიქიკური კონფლიქტი, რომლის გადასაჭრელად ეგო ეძებს გამოსავალს;
2. ტრანსფერი, რომელიც მყარდება პაციენტსა და თერაპევტს შორის და ინტერპრეტაცია, რომელსაც ტრანსფერში აკეთებს თერაპევტი;
3. გლოვის საკითხი დედასთან, როცა საქმე ეხება შვილს, განსაკუთრებით კი ვაჟს;
4. დაპირისპირება ქალთან დედობრიობასა და ქალურობას შორის;
5. და ბოლოს, ანალიტიკური აქტს, რომელსაც გარდატეხა შეაქვს თერაპიაში.

დავიწყებ, მატრამვირებელი მოვლენის ეფექტის და ეგოს მიერ ნაპოვნი გამოსავალის აღწერით.

სიდონიას ეგო, ქალური ვნების შედეგად დატრიალებულ ტრაგედიას და თანმდევ ბრალის გრძნობას ვერ უმკლავდება. დედის ნათქვამში "საყვარელი ვაჟი მომიკვდა, ის მე მოვკალი, ჩემი ბრალია", საქმე გვაქვს არა რაიმე გამოცდილებასთან დაკავშირებულ აზრთან, სურვილთან თუ აფექტთან, რომელსაც დატოვებული აქვს ფსიქიკური კვალი, არამედ, ტრავმატიზმის ძალით განპირობებულ ერთგვარ შეჯახებასთან, რეალურთან (ლაკანიანური გაგებით), რისი გადამუშავებაც და ასიმილაციაც შეუძლებელია. მისი ჩაწერა ვერ ხერხდება სიმბოლურში.

ეგო ვერ აღადგენს შიდაფსიქიკურ წონასწორობას. შესაბამისად, მიმართავს ისეთი კომპრომისულ გამოსავალს, რომელიც სუბიექტს ერთდროულად დაიცავს მატრავმირებელი რეალობისგან, გაათავისუფლებს ორმაგი ბრალის გრძნობისგან და თან ამავდროულად, გარკვეულწილად შეინარჩუნებს სუბიექტის ფსიქიკურ სტრუქტურას.

სუბიექტი პოულობს გამოსავალს, არ აღიაროს შვილის გარდაცვალების ფაქტი. ამით, ეგო ირჩევს ფსიქოზისთვის დამახასიათებელ დაცვის მექანიზმს - "რეალობის უარყოფას". მარტივად რომ გადმოვცეთ, ეგო დგამს ნაბიჯს საკუთარი მთლიანობის დარღვევისკენ: ის უარყოფს რეალობის ნაწილს, იმისთვის რომ მთლიანად არ განადგურდეს (ანუ არ გაგიჟდეს სუბიექტი).

რეალობის ნაწილის უარყოფა როცა ხდება, შიდა-ფსიქიკური მუშაობის, შემდგომი ნაბიჯია ამ სტატუს-კვოს შენარჩუნება. ამ მიზნით, ფსიქიკა ცდილობს ისეთი ახალი რეალობის შექმნას, რაც გამორიცხავს მაფრუსტრირებელი ფაქტორების არსებობას. როცა გმირი ამბობს, ჩემი შვილი ცოცხალია, ის წაღვერშია ახლა და ყვავილებს კრეფს, ან მას მეორე ოთახში სძინავს, ან შვილი მე კი არა ჩემი სარკის ანარეკლს სალომეს მოუკვდა, ჩემი ბავშვი კი ცოცხალია, ის აღარ განიცდის შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს. ამ შიდა ფსიქიკური სამუშაოს გაწევის შემდგომ, დედას უკვე შეუძლია მშვიდად დაესწროს შვილის დაკრძალვას, რადგან ამ მოვლენას მასზე მოქმედების ძალა სრულიად დაკარგული აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ აქ საქმე გვაქვს ისტერიულ პაციენტთან, რომელსაც ძლიერი ტრავმატიზმის შედეგად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰქონდა ფსიქოტური ეპიზოდები, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თეორიული განსხვავება ნევროზსა და ფსიქოზს შორის, რასაც ფროიდი 1924 წლის ნაშრომში "ნევროზი და ფსიქოზი" განმარტავს:

> *ჩვეულებრივ მდგომარეობაში, ეგო გარე სამყაროდან იღებს მუდმივად განახლებად აღქმებს, რომლებსაც ის იგროვებს მეხსიერებაში და წარმოადგენს ეგოს შინაგან სამყაროს. ფსიქოზის დროს აღარც მიღება და შესაბამისად აღარც დაგროვება ხდება. მეტიც, შინაგანი სამყაროც (რომელიც გარეგანის ასლია) კარგავს თავის მნიშვნელობას, მუხტს. ფსიქოზში, ეგო თავად ქმნის შინაგან და გარეგან სამყაროს. გარე სამყაროსგან დისოციაციის მოტივს, საფუძვლად უდევს*

იმავე გარე სამყაროს მხრიდან სურვილის ძალიან სერიოზული ფრუსტრაცია - ფრუსტრაცია რომელიც აუტანელია.

იმავე წლის ნაშრომში სახელად "რეალობის უარყოფა ნევროზის და ფსიქოზის დროს (1924)", ფროიდი წერს:

რეალობისთვის ზურგის შექცევა, გვხვდება ისეთი ნევროზის დროს, რაც ტრავმატული სცენით არის გამოწვეული. მაგ. დის სასიკვდილო სარეცელთან აზრი რომ „მისი ქმარი ჩემია და ველარავინ ჩადგება ჩვენს შორის" განდევნილია, და პაციენტს უვითარდება ისტერიული შეტევები. მაშინ როცა ფსიქოზის დროს თავად დის გარდაცვალების ფაქტი იქნებოდა უარყოფილი.

ფროიდის მიხედვით, ნევროზსა და ფსიქოზს შორის სხვაობა საბოლოო შედეგშია:

ნევროზის დროს რეალობის ნაწილისგან ხდება თავის არიდება - გაქცევის გზით; ხოლო ფსიქოზის დროს კი მისი რემოდელირება, უფრო სწორად ფსიქოზის დროს რეალობიდან გაქცევა ხდება მისი რემოდელირების გზით. ნევროზი კი არ უარყოფს რეალობას, ის უბრალოდ აიგნორებს მას. ფსიქოზი კი უარყოფს მას, მის ჩანაცვლებას ცდილობს. ფსიქოზის დროს ქცევა ხდება ალოპლასტიური.

უნდა ვიცოდეთ, რომ ფსიქოზის შემთხვევაში, პირველი ნაბიჯი ანუ რეალობის უარყოფა არის პათოლოგიური და იწვევს დაავადებას. ნევროზის შემთხვევაში კი მეორე ნაბიჯი, ანუ განდევნის ბოლომდე ვერ განხორციელება იწვევს დაავადებას.

ფროიდი ამ ნაშრომში, ასევე საუბრობს, იმ ფასზე რასაც პაციენტი იხდის ანუ რემოდელირების მექანიზმის არაეფექტურობაზე, ნაბიჯზე, რასაც დაავადებამდე მივყავართ:

> *ახალი რეალობის შექმნა ხდება ძველი მოგონებების და მსჯელობების ხარჯზე. იმისთვის რომ ეს ფონდი მუდამ განახლებადი იყო, ფსიქიკა მუდმივ რეჟიმში ცდილობს შექმნას ახალი წყარო აღქმების. ამისთვის ის იყენებს ჰალუცინატორულ და ბოდვით კონსტრუქტებს, რომლებიც რეალობის ადგილზე ჩნდება.* რეალობის უარყოფა ნევროზის და ფსიქოზის დროს (1924)

> *ანალიზი გვაჩვენებს რომ ბოდვის დროს რეალობის ბოდვითი კონსტრუქტით შევსება ხდება იქ, სადაც გაწყდა რეალობასთან ურთიერთობა, სადაც მოხდა წყვეტა, გახლეჩა, ეს ნაწილი შეივსო ბოდვითი კონსტრუქტით. ბოდვა არის მცდელობა რეალობასთან დაკარგული ურთიერთობის აღდგენის, განკურნების ფსიქიკური მცდელობა.* ნევროზი და ფსიქოზი (1924)

> *მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ტანჯვას და შფოთვას რომელიც ამ პროცესის თანმხლებია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოდელირებული რეალობას ყოველთვის რაღაც ძალები ებრძვიან. მას არ მოაქვს სრული კმაყოფილება. ახალი რეალობაც ვერ იღებს დამაკმაყოფილებელ ფორმას.*
>
> რეალობის უარყოფა ნევროზის და ფსიქოზის დროს (1924)

მოთხრობის მაგალითზე, შემდეგნაირად გამოიყურება, როცა ფსიქიკა დაასრულებს რეალობის უარყოფის გზით სამუშაოს:

თეთრი სიდონია კი დაკარგულ ბატივით დაბორიალებს და უდარდელად ღიღინებს, თან კურდღელს დაათრევს.

ზოგჯერ ვაჟის ფოტო-სურათებს მიადგება, კედელზე რომ ჩამოჰკიდა ამას წინათ, და დიალოგს გაუბამს, თან ჯუანის ნაცვლად თვითონვე იძლევა პასუხს.

ხოლო, ის რომ მოდელირებულ რეალობას არ მოაქვს კმაყოფილება, ამის დასტურია მოთხრობაში აღწერილი სეანსის ამონარიდი:

- ჯუანშერი მიწაშია, სადონი, იქ კი მხოლოდ მისი ლანდია - ისიც ცივი, მშრალი, უსულო და უსისხლო.

- თბილია... ილია, ძია ფრიდონ, თბილია ჩემი ბი... ბიჭიკო... ჭიკო.- პასუხობს პაციენტი

- თითქო თბილია ხუთი წუთით, როცა გულყრა მოგდის. და ამ ხუთიოდე წუთისთვის შენ სწირავ შენს პირად სიცოცხლეს, მოვალეობას, ბედნიერებას, დედას, ქმარსაც და მეორე შვილსაც.

- და შენც იტანჯები, მუდამ იტანჯები.

- ვი.. ვიტანჯები... ანჯები…- პასუხობს პაციენტი

- მეც ვიცი, სიდონი, რაც ხდება შენს გულში: ცეცხლი გეკიდება. მართალია თუ არა?

- მეკი... მეკიდება... მართა... მართალია... თალია... ალია...

ტრანსფერი და ტრანსფერში გაკეთებული ინტერპრეტაცია

სეანსების აღწერაზე გადასვლამდე, მნიშვნელოვანია შევეხოთ პაციენტის დამოკიდებულებას მოწვეული ექიმისადმი, ანუ ტრანსფერს, რომელსაც ის ანვითარებს.

ოჯახის მიერ მოწვეული პროფესორი, პაციენტის მასწავლებელი იყო, როცა სიდონია მედიცინას სწავლობდა უმაღლესში. ის ცნობილი ნევროლოგია და სიდონიასთვის წარმოადგენს დიდ მეტრს.

მიუხედავად ამისა, თავიდან, პაციენტი გარკვეული ეჭვის თვალით და შიშით უყურებს სტუმარს. ამბობს რომ სამკურნალო არაფერი აქვს და ნეგატიურ ტრანსფერს ავითარებს თერაპევტზე. ექიმი, პირველივე სეანსიდან, ცდილობს დაარწმუნოს პაციენტი რომ მის მხარესაა და სჯერა მისი. ნელ-ნელა, სეანსიდან სეანსამდე, პაციენტს, თერაპევტისადმი ნდობა და მიჯაჭვულობა უყალიბდება.

ფრიდონ დორაშვილი, პაციენტთან მუშაობს ძირითადად ჰიპნოზის მეთოდით. თავად მიხეილ ასათიანი თავის მიერ გამოყენებულ ფსიქოთერაპიულ მეთოდს, განცდათა რეპროდუქციის მეთოდს უწოდებდა.

სომნაბოლურ მდგომარეობაში, პაციენტი ბრუნდება მატრავმირებელ მოვლენასთან, იგი თხრობის და ჟესტების გზით გადმოსცემს იმ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, ასევე პასუხობს ექიმის კითხვებს. ამ მუშაობის შედეგად, ექიმი ახერხებს, გარკვეული მოვლენების რეკონსტრუქციას. თუმცა, ჰიპნოზს არანაირი თერაპიული შედეგი არ მოყვება. გამოღვიძებისას, პაციენტი ისევ ფიქსირებულია მატრამვირებელი მოვლენის პერიოდზე. მაგალითად, არ აღიარებს სეზონის ცვლილებას, ემიჯნება ყველა იმ ფაქტს, რაც შვილის სიკვდილს დაუდასტურებს, არ იკარებს მეორე შვილს. ბუნებრივია, თუ აღიარებს ზამთრის მოსვლას, იმის აღიარებაც მოუწევს, რომ ზაფხულის მიწურულს ბავშვი მოუკვდა.

საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ პაციენტი არ იშორებს სათამაშო კურდღელს, რომელიც თან დააქვს, მკერდზე მიხუტებული. ეს სათამაშო, მისმა საყვარელმა, ბიძინამ, ბავშვს, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე აჩუქა.

კურდღელი ამ შემთხვევაში, ორმაგი მნიშვნელობის მატარებელია. ის სიმბოლურად გამოხატავს მის ვაჟსაც და საყვარელსაც. ერთდროულად ეხმიანება სიდონიას დედობრივ და ქალურ ნაწილს. კურდღელზე ჩაბღაუჭებით ის ებღაუჭება, როგორც შვილისადმი სიყვარულს ესეიგი დედობრიობას, ასევე საყვარელისადმი სიყვარულს, ანუ ქალურობას და ვერცერთს უშვებს. მაგრამ, ამავე დროს კურდღელი წარმოადგენს კომემორიალურ ობიექტს, მნესტიკური კვალის სიმბოლოს, ობიექტს რომელიც სიმბოლოა სიმართლის, მომხდარი ამბის, საიდუმლოს რეპრეზენტაციაა, რომელიც განდევნილ თუ გახლეჩილ ნაწილში ინახება.

რადგან, თერაპევტმა არ იცის სათამაშოს წარმომავლობა, ამ ობიექტთან დაკავშირებული მისი ინტეპრეტაცია მიზანს სცდება, ციტატა:

„შენი ჯუანი რომ ავად იყო, შენ გვერდით უწექი მისი თავი დილამდე მკლავზე გედო, მართალია თუ არა?--- მართალია, ძია ფრიდონ.- იქიდან გამოგყვა, ამიტომ ან ეს კურდღელი უნდა გქონდეს ჩახუტებული, ან ხელი.“

თერაპევტმა, ამ შემთხვევაში გააკეთა, ვინიკოტისეული ტრანზიციული ობიექტის ინტერპრეტაცია. ეუბნება, რომ კურდღელი, შვილის არყოფნას უმსუბუქებს. კურდღელი, რომ ყავს ჩახუტებული, შვილიც ჩახუტებული ყავს. მაგრამ, ინტერპრეტაცია ვერ ეხება ბიძინას საკითხს.

შესაბამისად, თერაპევტის ეს თუ სხვა მცდელობა პაციენტის ეგოს გამთლიანების წარუმატებლად მთავრდება. სიდონია, ყოველ ჯერზე ემიჯნება რეალურად მომხდარი მოვლენის აღიარებას და საშველად უხმობს თავისივე მოდელირებულ რეალობას. ამონარიდი:

„თქვენ გსურთ ჩამაგონოთ ვითომ ჯუანი მომკვდარიყოს... თქვენ გსურთ ბედნიერ ზეციდან უბედურ მიწაზე ჩამომიყვანოთ, არ ვიცი კი - რისთვის, რისთვის?
- იქ კი, შენგან მოგონილ ცაში, იქ არაფერია, სრულებით არაფერი - გარდა ისევ შენითვე შეთითხნილ სიცრუისა.
- იქ ჯუანია, ჩემი შვილია... ილია. - უკვე იცრემლება დედა.

„ჯუანი ბაღში თამაშობს, წაღვერის ბაღში... ზამბახების კონა უჭირავს. ოღონდ ძალიან ცხელა.. მზემ არ დაჰკრას ბიჭიკოს. აქ კი... აქ არაფერიც არ მომხდარა.“

იმისთვის, რომ ინტერპრეტაციამ იმუშაოს, მნიშვნელოვანია დავინახოთ, რაში ეხმარება სიდონიას ფსიქიკის მიერ ნაპოვნი გამოსავალი. გარდა შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ტრავმატიზმისა, სახეზეა ორ ინსტანციას შორის კონფლიქტი. სუპერეგო აპელირებს ბრალის გრძნობაზე, ის ეგოს ჩასძახის:

“ის მოკვდა, შენი ბრალია, თავი უნდა მოიკლა”

თავის გადასარჩენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეგო, რეალობის უარყოფის გზით ქმნის შემდგომ სიმართლეს:

“ის არ მომკვდარა, შესაბამისად ბრალი არ მიმიძღვის”.

ლაკანი გვეუბნება, რომ ანალიტიკოსის ინტერპრეტაცია უნდა შეეხოს არამხოლოდ სიმართლის ერთ ნაწილს, არამედ იმასაც რის გამოც გახდა საჭირო სიმართლის შეცვლა ან გადაფარვა. ლაკანი მოუწოდებს ანალიტიკოსებს, მუდამ აწონ-დაწონონ ამ „არ-აღიარების“ გავლენები. ინტერპრეტაცია არ უნდა იყოს სიმართლის უხეში „მიხლა“; მან უნდა გაითვალისწინოს ის ეგზისტენციალური აუცილებლობა, რის გამოც სუბიექტი ამჯობინებს, რომ „არ იცოდეს“.

აქედან გამომდინარე, როცა ანალიტიკოსი ეუბნება სიდონიას “შენი შვილი მოკვდა”, ის ამით ტოვებს ხელშეუხებელს სიმართლის მეორე ნაწილს, ვერ რეცხავს ბრალის გრძნობას ანუ სუპერ ეგოს იმპერატივი - “შენი ბრალია და თავი უნდა მოიკლა” რჩება.

ამიტომაა, მიუღებელი სიდონიასთვის ეს ინტერპრეტაცია და შვილის სიკვდილის დამადასტურებელი რეალობის აღიარება. თუმცა თერაპევტმა თავიდან არაფერი უწყისს, იმის შესახებ თუ სინამდვილეში რა მოხდა და რა ტანჯავს პაციენტს.

სანამ თერაპიულ პროცესში სრულ სურათს დავინახავდეთ, გვერდს ვერ ავუვლით დედასთან გლოვის თემას, და ზოგადად, შვილის მნიშვნელობას.

დედის გლოვა, დაპირისპირება ქალთან დედობრიობასა და ქალურობას შორის

ფროიდი 1917 წლის ნაშრომში "გლოვა და მელანქოლია" წერს, რომ გლოვა მოითხოვს დაკარგული ობიექტისგან ლიბიდური კავშირების გამოთხოვას. თუ ეს კავშირი ზედმეტად ნარცისულადაა ორგანიზებული, ანუ ობიექტი ეგოს ნაწილადაა ქცეული, გლოვა ფერხდება.

ფროიდის ცნობილი ფრაზაა: „ობიექტის ჩრდილი ეცემა ეგოზე". რაც ნიშნავს, რომ გარდაცვლილი ადამიანი შინაგანად ინკორპორირდება და ვერ ხდება მისი რეალური დაკარგვის აღიარება. როცა ვაჟი, დედისთვის საკუთარი სურვილის, იდეალის, ან ნარცისული გაგრძელების მატარებელია, ამ დროს მისი დაკარგვა, ეგოს ნაწილად ქცეული ობიექტის დაკარგვაა. ასეთ შემთხვევაში, გამოგლოვება შეუძლებელი ხდება.

ისევ ლიტერატურული მაგალითი რომ ავიღოთ, ოთარაანთ ქვრივის შემთხვევაში, თავად შვილის გარდაცვალების ფაქტი, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დედა გაგიჟებულიყო. ეს იმით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძის ამ მოთხრობაში, ოთარაანთ ქვრივის ქალურობა მთლიანად დედობრიობისკენ იყო გადახრილი. რაც აშკარად არ არის ჩვენი გმირის შემთხვევა, მიუხედავად იმისა რომ, ვერ ვიტყვით, რომ სიდონიას ოთარაანთ ქვრივზე ნაკლებ უყვარდა თავისი ვაჟი. სიდონიასთან, დედობრიობის პარალელურად მძლავრობს ქალურობაც. მოთხრობიდან ვიცით, რომ ის უარს არასდროს ამბობს არშიყობაზე და ექიმსაც თამამად უცხადებს, რომ ოცდა-ექვსისა ვარ და ოც-და-ექვსჯერ მაინც მიყვარდაო.

1933 წლის ნაშრომში ფემინურობაზე, ფროიდისეული ხედვით, ქალის ოიდიპური კონფიგურაცია გულისხმობს ფსიქიკურ გადაადგილებას, რომლის დროსაც მამისა და ფალოსის ფანტაზმატიკური სურვილი, შვილის (განსაკუთრებით ვაჟის) ყოლის სურვილში ტრანსფორმირდება. ამ სტრუქტურაში, ვაჟი, ქალისთვის სიმბოლური ფალოსის ფუნქციას იძენს და მის პირველად დანაკლისს ანუ კასტრაციას კომპენსირებს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ფუნდამენტური კითხვა: თუკი ვაჟი დედის სურვილის სუბიექტური საყრდენია, როგორაა შესაძლებელი მისი დაკარგვის გლოვა?

რამდენადაც გლოვა ობიექტის დათმობას მოითხოვს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალო დანაკარგთან, არამედ იმ ფსიქიკური ღერძის მოშლასთან, რომელზეც ქალის სურვილია აგებული.

ფროიდი ცდილობს შეაჯამოს თავისი ხედვა ქალურობაზე ცნობილი ფრაზით: “რა სურთ ქალებს”?

ფროიდის, 1933 წლის ნაშრომში ფემინურობაზე და 1931 წლის ნაშრომში ქალურ სექსუალობაზე, დედობა, განიხილება როგორც ქალის განვითარების ერთ-ერთი შესაძლო ფსიქიკური გადაწყვეტა.

თერაპევტიც ცდილობს სიდონიაში გააღვიძოს დედობრიობა მეორე შვილის მოშველიებით, როცა ეუბნება:

‘დედას რომ შვილი მოუკვდება, დამარხავს, იტირებს, იგლოვებს და შემდეგ ისევ თავის გზით წავა. მეკითხები, რომელი გზითო? ამასაც გეტყვი: ამ ქვეყნად პირმშოს სიყვარულის გარდა არსებობს მოვალეობაც.
- მოვალეობა წინაშე ქმრისა, მშობლებისა, დანარჩენ შვილებისა, სამშობლოსი და მომავალ თაობისა, გაიგე?.. გესმის?’

მაგრამ, არც ეს მცდელობაა წარმატებული, რადგან სიდონია არ არის მხოლოდ დედა, ის პირველ რიგში ახალგაზრდა ქალია, თავისი ვნებებით და მერე დედა. მას ეს

კონფლიქტი და აქედან მომდინარე დანაშაულის განცდა ტანჯავს, რომელიც გამძაფრებულია დედის მოვალეობის პირნათლად შეუსრულებლობით.

საქმე გვაქვს კონფლიქტთან ქალურობასა და დედობრიობას შორის. სიდონია ღალატობს ქმარს და არჩევანს აკეთებს ქალურობის სასარგებლოდ. მას შეუძლია ამის გაკეთება, არა როგორც დედას, არამედ როგორც ქალს.

მას შემდეგ რაც, შედეგად შვილი უკვდება, ამით არის ეს კონფლიქტი დუბლირებული დედასა და ქალს შორის.

ტრაგედია მოხდა ქალსა და დედას შორის. ამიტომ, სიდონიას თავის ბოდვაში შემოყავს თავისი სარკისებრი ანარეკლი, რომელსაც სალომეს არქმევს და ანიჭებს დედობრიობის ნაწილს. სალომეს მოუკვდა შვილი ჯუანშერი და მან უნდა გაუწიოს ედიშერს ცოლობა, და არა სიდონიამ. აქ საქმე გვაქვს არამხოლოდ ფსიქიკურ კონფლიქტთან, არამედ მწერალი გვიხატავს დედას, რომელიც განადგურდა როგორც ქალი.

თერაპევტი, გამომდინარე იქიდან, რომ საყვარლის შესახებ არაფერი იცის, მუშაობს მხოლოდ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ტრავმატიზმის დაძლევაზე.

გზადაგზა პაციენტს აქვს რამდენიმე წამოცდენა, რაც ეხმარება ექიმს:

„ჯუანს ჩამოყვანა დავუგვიანე. და უცებ გასწყვიტა, თითქო შიშის ელდა ეცაო.
კინაღამ წამოსცდა: შრატის შეშხაპუნება.
- რა დაუგვიანე? - ორივე ხელით წასწვდა ამ სიტყვას პროფესორი.
- არაფერი... ისე ვთქვი.“
ბატონო ფრიდონ, ბრალი ხომ არ მიმიძღვის. დანაშაული ხომ არ ჩამიდენია?
კითხულობს პაციენტი“

საბოლოოდ, ექიმს, პაციენტის ეს წამოცდენები, სომნაბოლურ მდგომარეობაში მონათხრობთან ერთად ბაკურიანში გატარებულ ღამეზე, საშუალებას აძლევს სრული სურათი დაინახოს:

ტრაგედიის მიზეზი დაგვიანებული სამედიცინო დახმარება გახდა. იმ დროს, როცა ჯუანშერს შრატი სჭირდებოდა, სიდონია საყვარელთან შეხვედრით იყო გატაცებული. მაშინაც კი, როცა შვილის სიკვდილი მის კისერზეა, ის ვერ წყვეტს ამ კავშირს. შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ დანაშაულის გრძნობას თან ერთვის ღრმა შინაგანი დისონანსი: სიდონია გახლეჩილია თავის დედობრივ მოვალეობასა და ქალურ სურვილებს შორის, რაც მის ტანჯვას კიდევ უფრო აუტანელს ხდის.

ექიმის ამოცანაა, ეს კვანძი გახსნას. პაციენტი ტრავმული ტკბობიდან გლოვაში უნდა გადაიყვანოს, რაც ადამიანური ფსიქიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ტრანსფორმაციაა.

ანალიტიკური აქტი

თერაპიის მეოთხე თვეს გარდამტეხი მომენტი დგება: ექიმი გაზეთში შემთხვევით პოულობს სიდონიას საყვარლის, ბიძინას, ნეკროლოგს.

გაზეთის დახმარებით, თერაპევტი მოახერხებს ანალიტიკური აქტის განხორციელებას, რომელიც ლაკანიანური ცნებაა და გულისხმობს ანალიტიკოსის გარკვეული ქმედებით, ცვლილების შეტანას პაციენტის ცნობიერებაში.

ექიმი, სიდონიას შთაგონებას ცდილობს, რომ ბიძინამ მათი ურთიერთობა საქვეყნოდ გამოააშკარავა და ქალს სახელი გაუტეხა. ის მთელ პასუხისმგებლობას დაგვიანებაზე და ბავშვის ტრაგიკულ სიკვდილზე ბიძინას აკისრებს და ამტკიცებს, რომ ეს კაცი სიკვდილის ღირსი იყო.

თერაპევტი ამით არ კმაყოფილდება და სიდონიას არწმუნებს, თითქოს ბიძინა მან თავად მოკლა, რათა ქალისა და ჯუანშერის გამო შური ეძია. ის პაციენტს აიძულებს დაიმახსოვროს, რომ ორივე ბიძინაც და ჯუანშერიც მკვდრები არიან.

ამ რეალობის დასადასტურებლად, ექიმი პაციენტს აწვდის გაზეთს, რომელშიც მისი საყვარელი მამაკაცის, ბიძინას, გარდაცვალების შესახებ წერია. პაციენტი თვალებს

იფშვნეტს, თითქოს ღრმა ძილისგან გამოერკვა, კიდევ ერთხელ დაჟინებით ათვალიერებს ტექსტს.

ანალიტიკური აქტის მეშვეობით თერაპევტი ერთდროულად ორ ფუნდამენტურ კონფლიქტს აგვარებს:

- პირველ რიგში, ბრალის გრძნობის განეიტრალებით, ის ხსნის დაპირისპირებას სუპერ-ეგოსა და ეგოს შორის;

- ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულის საყვარელზე პროექციით, აწონასწორებს ქალურობასა და დედობრიობას შორის არსებულ დისონანსს.

ამ ორი, შინაგანი კონფლიქტის მოხსნა, სიდონიასთვის რეალობის აღიარების წინაპირობა ხდება. პასაჟი მოთხრობიდან:

‘*- ჩემი შვილი მოკვდა! ძია ფრიდონ, მიშველე! - და ორივე ხელით ექიმს ებღაუჭება გონმოსული დედა, თან ჰკანკალებს და კივის: - ჯუანი მოკვდა... მოკვდა!.. მოკვდა!! და თითქო მიწის გულიდან შადრევანივით ამოხეთქა ოთხი თვის დაგუბებულმა ნაღველმა და ვაებამ, გმინვამ და ცრემლმა, ურვამ და ხარხარმა.*

ამის შემდეგ, კურდღელსაც აგდებს.

- იმის ნა .. ნაჩუქარია... ქარია. წა... წაიღეთ... აიღეთ. კისერი მოუგრიხა, თავი მოსწყვიტა, გაჰგლიჯა.’

მოგვიანებით, სარკეში ჩახედვისას, თავის ნამდვილ სახეს ხედავს. თეთრ კაბას, რომელიც აქამდე ეცვა შავით ანაცვლებს და თავისი მეორე შვილის, კატოს ალერსით ტკბება.

დასკვნითი ანალიზი

მიხეილ ჯავახიშვილის „კურდღლის“ ფინალური სცენა, ლაკანიანური პერსპექტივით, წარმოადგენს კლინიკურ მანიპულაციას, სადაც თერაპევტი მსაჯულის როლის მორგებით, „დიდი სხვის“ ფუნქციას ითავსებს, რათა სუბიექტი სიმბოლურ წესრიგში დააბრუნოს.

ანალიტიკური აქტის მეშვეობით, თერაპევტი, სიდონიას აწვდის „აღმნიშვნელს“ ბიძინას სახით, რომელსაც მთელი დანაშაული მიეწერება. ეს სიდონიას საშუალებას აძლევს, გაემიჯნოს მკვლელის როლს და პასუხისმგებლობა გარე ობიექტზე გადაიტანოს. ამ სიმბოლური აქტით, თერაპევტი ახდენს დანაშაულის რეორგანიზაციას პაციენტის ფსიქიკაში. გაზეთი კი, გვევლინება სოციალურ მოწმედ, რომელიც ამ ახალ რეალობას სიმბოლურ ლეგიტიმაციას ანიჭებს.

ამავდროულად, სათამაშო კურდღლის, როგორც „ობიექტი ა“-ს განადგურება და მისი ფეტიშისტური ფუნქციის მოშლა (რომელიც სიდონიას წარმოსახვით სამყაროსთან აკავშირებდა და ავსებდა მის შინაგან სიცარიელეს), განასახიერებს სიმბოლურ კასტრაციას (შვილის დანაკლისს). ამასთან, სუბიექტი საბოლოოდ თავისუფლდება იმ ნარჩენისგან, რომელიც მას ბიძინასთან, აკრძალულ ტკბობასთან აკავშირებდა. კურდღლის დაწვა ნიშნავს იმ „ცოდვილი ტკბობის“ კვალის წაშლას, რომელმაც გამოიწვია ტრაგედია.

შედეგად, სუბიექტისთვის შესაძლებელი გახდა, საკუთარ თავი უკვე გლოვაში მყოფ დედად და სოციუმის ნაწილად აღექვა.

ბიბლიოგრაფია:

ზიგმუნდ ფროიდი. (1924). რეალობის უარყოფა ნევროზისა და ფსიქოზის დროს (The Loss of Reality in Neurosis and Psychosis).

ზიგმუნდ ფროიდი. (1924). ნევროზი და ფსიქოზი (Neurosis and Psychosis).

ზიგმუნდ ფროიდი. (1933). ფემინურობა (Femininity).

ზიგმუნდ ფროიდი. (1931). ქალური სექსუალობა (Female Sexuality).

ზიგმუნდ ფროიდი. (1917). გლოვა და მელანქოლია (Mourning and Melancholia).

ზიგმუნდ ფროიდი. (1927). ფეტიშიზმი (Fetishism).

დონალდ ვინიკოტი. (1953). ტრანზიციული ობიექტები და ტრანზიციული ფენომენები(Transitional Objects and Transitional Phenomena).

ჟაკ ლაკანი. (1958–1959). სემინარი VI: სურვილი და მისი ინტერპრეტაცია (Le Séminaire, Livre VI: Le désir et son interprétation).

ჟაკ ლაკანი. (1967–1968). სემინარი XV: ფსიქოანალიტიკური აქტი (Le Séminaire, Livre XV: L'acte psychanalytique).